საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/345
29/05/2019

345-01-2-201905291508

№2/1/704 **ქ. ბათუმი, 2019 წლის 28 მაისი**

კოლეგიის შემადგენლობა:
თეიმურაზ ტუღუში - სხდომის თავმჯდომარე;
ირინე იმერლიშვილი - წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;
მანანა კობახიძე - წევრი;
თამაზ ცაბუტაშვილი - წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელის, გიორგი ქართველიშვილის წარმომადგენელი - მერაბ ქართველიშვილი; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი - თამარ მესხია. მოწმეები - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ალექსანდრე დარახველიძე; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს უფროსი - გიორგი ქემოკლიძე.

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

I
აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №704) მომართა საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილმა. კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2015 წლის 18 დეკემბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №2/2/704 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის არსებითი განხილვის სხდომები, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2016 წლის 13 ივნისს და ამავე წლის 5 აგვისტოს.

2. კონსტიტუციურ სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

3. პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ადგენდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“.

5. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის

საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

6. №704 კონსტიტუციური სარჩელიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე არის მსჯავრდებული და 2006 წლის 6 იანვრიდან იმყოფება სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში. ეს დაწესებულება 2015 წლის პირველი სექტემბრიდან ატარებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სტატუსს.

7. მოსარჩელე მხარის განმარტებით, პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს ორ შემთხვევას, როდესაც მსჯავრდებულს ეზღუდება ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა. პირველ შემთხვევაში, ნორმა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის იმპერატიულ და აბსოლუტურ აკრძალვას აწესებს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნორმა ხანგრძლივ პაემანს დროებით უკრძალავს მსჯავრდებულს, რომელიც იმყოფება საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.

8. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-16 და 36-ე მუხლები ადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გარანტიას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია გარე სამყაროსთან პატიმრის პიროვნული კავშირების განვითარებასა და შენარჩუნებასთან, ხოლო კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) სახელმწიფოს ავალდებულებს, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას, ხოლო, მეორე მხრივ, არ მიიღოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გააუარესებს პირის ოჯახურ მდგომარეობას.

9. მოსარჩელის აზრით, პირის კონკრეტული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსება არ უნდა იწვევდეს ისეთი მნიშვნელოვანი უფლების ავტომატურ ჩამორთმევას, როგორიც ხანგრძლივი პაემანია. ამ კონტექსტში, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოს ან სამართალდამცავი ორგანოებისთვის საფრთხის შექმნის მაღალ ალბათობაზე მითითება პატიმრის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის გონივრული ვარაუდი, რომ პირი ამ უფლებით სარგებლობისას საფრთხეს შეუქმნის სხვების უსაფრთხოებას. შესაბამისად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებაშემზღუდველი ღონისძიება უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და პატიმრისგან მომდინარე საფრთხეების შესწავლის საფუძველზე.

10. მოსარჩელის განმარტებით, ხანგრძლივი პაემნის უფლება არის მსჯავრდებულის უფლება და შესაძლებლობა, შეინარჩუნოს და განავითაროს ოჯახური ურთიერთობები. პირი, რომელიც სასჯელს იხდის განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის

დაწესებულებაში, როგორც წესი, მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის ზომად განსაზღვრული აქვს 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ ტიპის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით, თვეში ერთხელ, ერთი საათით. ასეთ პირობებში ხანგრძლივი პაემნის უფლების ჩამორთმევა პირს კიდევ უფრო აშორებს ოჯახს და საზოგადოებას, რაც შეუძლებელს ხდის ან ართულებს მის რესოციალიზაციის და რეინტეგრაციის პროცესს სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ. მოსარჩელის მოსაზრებით, სახელმწიფო აღნიშნული ქმედებით მიზნად ისახავს არა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესისთვის ხელშეწყობას და წახალისებას, არამედ ორიენტირებულია ამ უკანასკნელის მიმართ დამატებითი სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენებაზე.

11. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების არსებობის მიუხედავად, უფლების შეზღუდვა არ არის თანაზომიერი. მისი მტკიცებით, უსაფრთხოების ზომების დაცვა შესაძლებელია სხვა, უფლების ნაკლებად მზღუდავი საშუალებებით, მაგალითად, ხანგრძლივ პაემანზე შესვლამდე და გამოსვლის შემდეგ, მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების შემოწმებით, როგორც ეს ხდება ხანმოკლე პაემნის დროს და ადვოკატთან შეხვედრისას. მოსარჩელის წარმომადგენლის მითითებით, ასევე საეჭვოა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის გამოსადეგობა სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მიღწევისათვის, რადგან მსჯავრდებულსა და ვიზიტორს შორის სახიფათო ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია ასევე ხანმოკლე პაემნის, სატელეფონო საუბრების თუ მიმოწერის მეშვეობით.

12. მოსარჩელე საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, აგრეთვე მიუთითებს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებზე.

13. მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პატიმრობის კოდექსის 66^2 მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთ, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან სამართლებრივი ორგანოების უსაფრთხოებას.

14. მოპასუხის განმარტებით, მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაბამის ტიპს, რისკების შეფასების გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განსაზღვრავს დეპარტამენტის დირექტორი. გარდა ამისა, პერიოდული გადაფასების შედეგად ან უფრო ადრე, მსჯავრდებულისაგან მომდინარე რისკის ფაქტორის გათვალისწინებით, პატიმარი შესაძლოა გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

15. მსჯავრდებულისგან მომდინარე რისკების შეფასებასა და პერიოდულ გადაფასებას, პატიმრობის კოდექსისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და

პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანების შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს კოლეგიური ორგანო, რისკების შეფასების გუნდი, რომელიც შედგება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის გადაფასება ხდება მისი შეფასებიდან არაუგვიანეს 12 თვისა, თუმცა შესაძლებელია რისკის ზემოაღნიშნული ვადის დაუცველად გადაფასებაც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვლება პირის ქცევა, დამოკიდებულება ან სხვა გარემო პირობები ან/და მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია. რისკების შეფასებისა და გადაფასების შესახებ კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საერთო სასამართლოში.

16. მაშასადამე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს პატიმრის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას და გამორიცხავს მისგან ინდივიდუალურად მომდინარე საფრთხის შეფასების გარეშე მის ისეთ დაწესებულებაში მოთავსებას, სადაც შეზღუდული ექნება ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

17. მოპასუხე მხარის განცხადებით, მოსარჩელე ხანგრძლივი პაემნის დანიშნულებაზე მსჯელობისას ძირითადად აპელირებს პატიმრის უფლებაზე, შეინარჩუნოს და განავითაროს ოჯახური ურთიერთობები და სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს ოჯახის კეთილდღეობა. პირადი ცხოვრების ეს უფლებრივი კომპონენტი კი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). აქედან გამომდინარე, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმას მიმართება არ აქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

18. მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ემსახურება ისეთ ლეგიტიმურ მიზნებს, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ან გარშემომყოფთა, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა. ამასთან, ჩარევა პროპორციულია იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობა ხანგრძლივი პაემნის უფლების შეზღუდვამდე ითვალისწინებს პატიმართა ინდივიდუალურ შეფასებას, ხოლო შემდგომში, მათ პერიოდულ გადაფასებას და რისკის შემცირების შემთხვევაში პატიმართა ისეთი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობას, სადაც მათ ექნებათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. ხსენებულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით დადგენილი ღონისძიება იწვევს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გარანტირებული უფლების თანაზომიერ შეზღუდვას.

19. საქმეზე მოწმედ მოწვეულმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ 2014 წლიდან საქართველოში დაინერგა პენიტენციური სისტემის მართვის თანამედროვე მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაციას მათგან მომდინარე საფრთხეების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე და მათ შემდგომ განთავსებას შესაბამისი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში.

20. მულტიდისციპლინური გუნდი მსჯავრდებულს ინდივიდუალურად აფასებს სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელ რისკს მიეკუთვნება ესა თუ ის მსჯავრდებული. შესაძლოა, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი მოათავსონ დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში და პირიქით, ხანმოკლე ვადით თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსდეს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში. ამასთან, მსჯავრდებული უფლებამოსილია, მისგან მომდინარე საფრთხეების ინდივიდუალურ შეფასებამდე ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნის უფლებით, თუ მას უკვე არ აქვს დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

21. მოწმის განცხადებით, დაბალი რისკის მქონე დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულთა უფლებები ნაკლები ინტენსივობითაა შეზღუდული, შესაბამისად, ისინი სარგებლობენ მნიშვნელოვანი შეღავათებით, ხოლო მსჯავრდებულისაგან მომდინარე რისკის მატებასთან ერთად, იცვლება დაწესებულების ტიპიც და იზღუდება უფლებებით თავისუფლად სარგებლობის ხარისხიც. აღნიშნული მოდელის დანერგვა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პენიტენციურ დაწესებულებაში საფრთხეების პრევენციას და დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პოზიტიური ქცევისაკენ წახალისებას, მათი შედარებით დაბალი რისკის დაწესებულებაში გადაყვანისა და უფლებებით უკეთ სარგებლობის პირობით.

22. საქმეზე მოწმედ მოწვეულმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს უფროსმა გიორგი ქემოკლიძემ ისაუბრა იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რის გამოც მოსარჩელე გიორგი ქართველიშვილს განესაზღვრა საშიშროების მაღალი რისკი, თუმცა, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეიცავდა პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება არსებითი განხილვის სხდომის ამ ნაწილის დახურვის შესახებ.

II
სამოტივაციო ნაწილი

1. კონსტიტუციური დებულებების ცვლილება

1. მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლთან და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული კონსტიტუციური

დებულებები ძალადაკარგულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას შეაფასებს მოქმედი კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომელთაც მსგავსი/იდენტური შინაარსი გააჩნიათ.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დადგენილი იყო, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“. მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით ითხოვს იმ არგუმენტაციით, რომ სადავო ნორმა ზღუდავს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას. აღნიშნული კონსტიტუციური უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.

3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღებს, რომ სადავოდ არის გამხდარი პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

2. სადავო ნორმის ძალადაკარგულობა

4. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითად განხილვის შემდგომ სადავო ნორმამ განიცადა ცვლილება. კერძოდ, 2017 წლის 1 ივნისს მიღებული „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (943-IIს) პირველი მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობები წარმოშვას, მისი გასაჩივრებული შინაარსი შეიძლება მნიშვნელოვნად, უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ შეიცვალოს. თუმცა, ნორმის ძველი, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი რედაქცია, ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“; II-5). შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის შემდგომ სადავო ნორმამ ძალა დაკარგა.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაში, „როდესაც სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა/გაუქმება ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ (როდესაც სასამართლო იმყოფება სათათბირო ოთახში), არ არსებობს საკანონმდებლო საფუძველი საქმის შეწყვეტისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს №704 კონსტიტუციურ სარჩელზე საქმის შეწყვეტის საფუძველი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს ძალადაკარგული სადავო ნორმის კონსტიტუციურობას.

3. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცული სფერო

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა პირადი ცხოვრების უფლების, როგორც ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების უმთავრესი საფუძვლის მნიშვნელობაზე და მის განსაკუთრებულ კავშირზე დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების კონცეფციებთან მიმართებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-4). სასამართლოს განმარტებით, დასახელებული უფლება „სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

7. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა და შედგება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით. ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო, პრივატული სფეროს არსებობას, პირის უფლებას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან, ასევე ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მოახდინოს ინფორმაციისა თუ მოსაზრებების გაცვლა-გაზიარება მათთან (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის

№1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“).

8. პირადი ცხოვრების იმ ცალკეული უფლებრივი კომპონენტების მსგავსად, რომელთაც საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს კონკრეტულ მუხლებში, აღსანიშნავია ოჯახური ცხოვრების უფლება, რომელზეც კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი სახელდებით მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „უდავოა, რომ პირის... პირადი ცხოვრება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და მის „ახლო წრესთან“. ოჯახური ცხოვრება გულისხმობს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ,“ II-4). ამგვარად, ოჯახური ცხოვრება გულისხმობს პირთა ცალკეულ წრესთან დამყარებულ კერძო ურთიერთობებს და მოიცავს განსაკუთრებით „ახლო წრეში“ არსებულ კავშირებს, რომლებიც ძლიერი ემოციური ან/და ბიოლოგიური კავშირით ხასიათდება.

9. ოჯახური ცხოვრებისა და მის ფარგლებში არსებული ურთიერთობების, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური კომპონენტის, დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობა კონსტიტუციაში ხაზგასმულია არა მხოლოდ როგორც ძირითადი უფლების დაცვის კუთხით, არამედ ასევე სამართლებრივი პრინციპების დონეზე. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, რომ იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობის დასაცავად. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით გამოყოფს ოჯახური ცხოვრების უფლებას როგორც პირის პირადი ცხოვრების განსაკუთრებულ უფლებრივ კომპონენტს, რომლის დაცვის მნიშვნელობა სცდება მკაცრად ინდივიდუალურ ჩარჩოებს და ეხება როგორც ამგვარი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს, ასევე მთლიანად საზოგადოებას და იკავებს მნიშვნელოვან ადგილს კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემაში.

4. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების სტანდარტები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან მიმართებით

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ უფლების ფარგლების განმარტების და მისი დაცვის კონსტიტუციური სტანდარტების დადგენისას, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს უფლების სუბიექტის სამართლებრივ სტატუსს, ასევე შესაფასებელი სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათსა და თავისებურებებს. ერთ-ერთი ამგვარი შემთხვევაა პირისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა კანონის საფუძველზე. ინდივიდის ამგვარი სტატუსი ქმნის განსაკუთრებულ სამართლებრივ რეალობას, რომელიც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის მიერ იმ ძირითადი უფლებებით სარგებლობის ხარისხზე, რომელთა სრულყოფილი რეალიზაცია გარდაუვლად დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებასთან.

11. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-10). კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტი, რომლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირი განაგრძობს ყველა იმ ძირითადი უფლების სუბიექტად ყოფნას, რომელიც თავად კონსტიტუციით არ არის შეზღუდული, უპირველესად უკავშირდება ღირსების სამართლებრივ კონცეფციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებათა პატივისცემაში, მათ ადეკვატურ დაცვასა და განხორციელებაში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთი საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს თითოეულ თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებაზე, მოექცნენ ჰუმანურად და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას (მაგალითისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი; „პატიმართა მოპყრობის ძირითადი პრინციპების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/111 რეზოლუციის პირველი და მე-5 მუხლები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2015 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით დამტკიცებული „პატიმრებთან მოპყრობის შესახებ განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების („ნელსონ მანდელას წესები“)“ წესი №1).

12. პირისათვის კანონის საფუძველზე ფიზიკური თავისუფლების აღკვეთა და ფაქტი, რომ ის სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფება, არ გულისხმობს, რომ პირი კარგავს უფლებას, სახელმწიფოს მხრიდან მისი, როგორც ინდივიდის, პატივისცემაზე და, შესაბამისად, იმ უფლებათა სუბიექტობაზე, რომლებზეც თავისუფლებააღკვეთილი პირის სტატუსი შეუქცევად გავლენას არ ახდენს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სასჯელის მიზნების აღსრულების პროცესში განსაკუთრებით მაღალია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი, მათ შორის პირის იმ სამართლებრივ თუ საყოფაცხოვრებო პირობებში მოთავსების თვალსაზრისით, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებელი უნდა გახადოს რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II- 47).

13. თავისუფლების აღკვეთის ვადის ამოწურვის შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში წარმატებით რეინტეგრაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავისუფლების აღკვეთის პროცესში ცალკეული ძირითადი უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ის

უფლებრივი გარანტიები, რომლებიც ობიექტურად აბალანსებს ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ნეგატიურ შედეგებს, უკეთესობისკენ ცვლის პირის ცხოვრების წესს, ხელს უწყობს მის ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას და აძლევს შესაძლებლობას, შეინარჩუნოს კონტაქტი გარე სამყაროსთან. ასეთ უფლებებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ოჯახური ცხოვრების უფლება. რესოციალიზაციის და შემდგომი დანაშაულების ჩადენის პრევენციის საქმეში ძალიან დიდია ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებისა და წახალისების, ოჯახის წევრებთან სტაბილური ემოციური კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობა. ოჯახური კავშირების შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასევე მსჯავრდებულის მიერ საკუთარი პიროვნების განვითარებისა და იდენტობის განსაზღვრისათვის, რათა ამ უკანასკნელმა საკუთარი თავის იდენტიფიცირება არ დააფუძნოს მსჯავრდებულის სტატუსს, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას.

14. ამავდროულად, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის ფარგლები და სტანდარტები, ცხადია, განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირები, ცხადია მიეკუთვნებიან ... პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სუბიექტებს. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებიან, რაც პირადი ცხოვრების დაცულობის მოლოდინის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს სხვა პირებთან შედარებით. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეული კომპონენტების კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ სტანდარტებისაგან, რომლებიც ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-101). მაგალითად, „პატიმარი უზრუნველყოფილია უფლებით შექმნას ოჯახი, მაგრამ შეზღუდულია შესაძლებლობაში შეხვდეს ოჯახის წევრებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-10). ოჯახური ცხოვრების უფლება განეკუთვნება იმ ძირითად უფლებათა კატეგორიას, რომელთა დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტი განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ. მსჯავრდებულს აქვს *prima facie* უფლება, დაამყაროს და შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები, კავშირი ჰქონდეს საკუთარი ოჯახის წევრებთან პირადად თუ კომუნიკაციის დისტანციური საშუალებებით. ამავდროულად, ოჯახის წევრებთან კავშირს ვერ ექნება მუდმივი, უწყვეტი ხასიათი, ისევე როგორც კომუნიკაციის პროცესი ვერ დაექვემდებარება პრივატულობის ისეთ ხარისხს, როგორც ეს შესაძლებელია იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან მოთავსებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

15. პირის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება წარმოადგენს სახელმწიფოს ხელთ არსებულ, დანაშაულზე რეაგირების ყველაზე მკაცრ ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიება, თავისი არსით, პირველ რიგში, გულისხმობს პირის ფიზიკურად ჩამოშორებას, იზოლირებას საზოგადოებისგან და ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ უდავო და ნათელია დამნაშავის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ეფექტურად რეინტეგრაციის მნიშვნელობა, აღნიშნული არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის ერთადერთ მიზანს. თავისუფლებააღკვეთილი პირის ეფექტური რესოციალიზაციის ინტერესით გამართლებული ვერ იქნება აღნიშნული პირისათვის საკუთარი ოჯახის წევრებთან კონტაქტის იმ ხარისხითა და ინტენსივობის შენარჩუნება, რომელიც დაამცრობს ან შეუძლებელს გახდის სასჯელის სხვა მიზნების მიღწევას, აზრს დაუკარგავს პირის იზოლირებას საზოგადოებისგან და ილუზორულს გახდის არსებულ ობიექტურ განსხვავებას თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულსა და თავისუფლებაში მყოფ პირს შორის.

16. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებას, თავისთავად, თან სდევს ოჯახის წევრებთან და გარესამყაროსთან კავშირის ქონის შესაძლებლობის შეზღუდვა. შესაბამისად, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით დაცული არ არის თავისუფლებააღკვეთილი პირის შესაძლებლობა, რომ შეუზღუდავი კავშირი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან. ამავდროულად, თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება არ გულისხმობს პირის აბსოლუტურ იზოლირებას და მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის სრულ აკრძალვას. როგორც აღინიშნა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ იმ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ მის შემდგომ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. პირადი და ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ გარკვეული ხარისხით მაინც უზრუნველყოს პირის შესაძლებლობა, იქონიოს კონტაქტი ოჯახის წევრებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის საფუძველზე თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს პირის შესაძლებლობას, იმ ხარისხით და ინტენსივობით შეინარჩუნოს კავშირი ოჯახის წევრებთან, რაც თავსებადი იქნება თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ბუნებასთან და აღნიშნული ღონისძიების გამოყენების ლეგიტიმურ მიზნებთან.

17. იმავდროულად, თავისუფლებააღკვეთილი პირის შესაძლებლობა, კონტაქტი იქონიოს საკუთარ ოჯახთან და ახლობელ ადამიანებთან, ზღვარდადებულია სახელმწიფოს ხელთ ობიექტურად არსებული შესაძლებლობებით. როგორც აღინიშნა, პირადი და ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს იმ პირის ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის, როგორც მასზე დაკისრებული სასჯელის ბუნებიდან გამომდინარე, იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. აღნიშნული, ცხადია, გულისხმობს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებებს, არამედ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პოზიტიური ქმედებების განხორციელების

საჭიროებასაც. თუმცა კონსტიტუცია არ მოითხოვს ამგვარი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმისას სახელმწიფოსთვის არაგონივრულად მძიმე ტვირთის დაკისრებას. პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული პირისათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში საჭიროებს კომპლექსურ ქმედებათა განხორციელებას, ადამიანურ, ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ რესურსებს ან/და ბუნებრივ ფორსმაჟორულ სიტუაციებთან გამკლავებას, რათა, ერთი მხრივ, დაცულ იქნეს პირის კერძო ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნები საზოგადოებრივ/პენიტენციური სისტემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება არ მოიცავს საკუთარი ოჯახის წევრებთან და ახლობელ ადამიანებთან იმგვარი კონტაქტის შესაძლებლობას, რომლის განხორციელებაც შესაძლოა, ბუნებით თავსებადია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან, თუმცა სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სცდება გონივრულობის ფარგლებს.

18. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება და მის ფარგლებში საკუთარი ოჯახის წევრებთან კონტაქტი შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით და მეთოდით, რომლის ამომწურავად განსაზღვრა შეუძლებელია. ასევე თანაბრად რთულია განისაზღვროს კონტაქტის თითოეულ ფორმასთან თუ მეთოდთან მიმართებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლები. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების ძირითადი უფლების დაცვის ზემოაღნიშნული კონსტიტუციური სტანდარტის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს, სადავოდ გამხდარი რეგულირება თავისი არსით თავსებადია თუ არა პირის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან და აღნიშნულის უზრუნველყოფა მოითხოვს თუ არა სახელმწიფოსგან არაგონივრულად მძიმე ტვირთს.

5. სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრა და პირის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის დადგენა

19. პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა“. მოსარჩელე მხარისათვის პრობლემურია აღნიშნული ნორმის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უზღუდავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობას.

20. ხანგრძლივი პაემანი პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისათვის პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გარე სამყაროსთან

კონტაქტის ერთ-ერთი საშუალებაა და ამავე კოდექსის მე-14 მუხლით მსჯავრდებულის უფლებათა ნაწილად არის აღიარებული. კერძოდ, გარესამყაროსთან კონტაქტის დამყარებისათვის მსჯავრდებულს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს: ა) სატელეფონო საუბრით; ბ) მიმოწერით; გ) ხანმოკლე პაემნით; დ) ვიდეო პაემნით; ე) საოჯახო პაემნით (ქალი მსჯავრდებულის შემთხვევაში); ვ) ხანგრძლივი პაემნით; ზ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით. აღნიშნული საშუალებებიდან, თუკი სატელეფონო საუბრები, ვიდეო პაემანი და მიმოწერა კომუნიკაციის დისტანციური საშუალებებია, პაემნით (როგორც ხანმოკლე ასევე ხანგრძლივი) სარგებლობა არის საშუალება, რომელიც მსჯავრდებულს შესაძლებლობას აძლევს, პერიოდულად, კანონით განსაზღვრული ინტენსივობით, უშუალო პირადი კონტაქტი ჰქონდეს საკუთარი ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან.

21. ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემანი თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლის ვიზუალური მეთვალყურეობით, ერთიდან ორ საათამდე ვადით და მსჯავრდებულს შესაძლებლობა აქვს, შეხვდეს ახლო ნათესავებს, რომელთა წრე გაცილებით ფართოა, ვიდრე ხანგრძლივი პაემნის შემთხვევაში. ხანგრძლივი პაემანი გულისხმობს პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ახლო ნათესავთა შეზღუდული წრის წარმომადგენელთან (შვილი, ნაშვილები, გერი, შვილიშვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც მსჯავრდებულს საერთო შვილი ჰყავს, მშობელი, მშვილებელი, ბებია, პაპა, და, ძმა) ერთად 23 საათამდე ცხოვრების შესაძლებლობას დაწესებულების ტერიტორიაზე, საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად.

22. პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სახეებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც იქ მოთავსებული მსჯავრდებული სუბიექტების (კოდექსი ცალკე ითვალისწინებს არასრულწლოვანთა და ქალთა დაწესებულებებს), ასევე რისკების დონისა და ამგვარი რისკების შესაბამისი უსაფრთხოების ზომების ინტენსივობის გათვალისწინებით. აღნიშნულ დაწესებულებათაგან ერთ-ერთ კატეგორიას მიეკუთვნება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელიც ამავე კოდექსის 12^1 მუხლის თანახმად, ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას და მსჯავრდებულთა მუდმივ მეთვალყურეობას, ამ უკანასკნელთაგან მომდინარე საფრთხის მომეტებული რისკების გამო.

23. პატიმრობის კოდექსის 66^2 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავსდება მსჯავრდებული, რომლის პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებები თუ თავად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა, მას საშიშროების მაღალი რისკის მქონედ აქცევს. ამასთან, ამგვარი დაწესებულების მკაცრი რეჟიმი, უპირველესად, გავლენას ახდენს მსჯავრდებულთა გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობასა და მოცულობაზე, ისევე როგორც დაწესებულების შიგნით ნებადართულ ქმედებებსა თუ განხორციელებულ საქმიანობაზე. მაგალითისათვის, ასეთი მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ შრომითი უზრუნველყოფის უფლებით,

დაწესებულების ხანმოკლე დატოვების უფლებით, მათი კორესპონდენცია შეიძლება დაექვემდებაროს განსაკუთრებით მკაცრ შემოწმებას, ასევე სხვა ტიპის დაწესებულებებთან შედარებით ყველაზე ნაკლები დროითა და პერიოდულობით შეუძლიათ, ისარგებლონ სატელეფონო საუბრით/ხანმოკლე პაემნით და წინამდებარე საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმის მიხედვით, სრულად ეზღუდებათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა.

24. როგორც აღინიშნა, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება იცავს პირის შესაძლებლობას, იქონიოს კონტაქტი ოჯახის წევრებთან იმ ხარისხით, რაც თავსებადია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან და რომლის უზრუნველყოფაც არ მოითხოვს სახელმწიფოსგან არაგონივრულად მძიმე ტვირთს. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება თავისთავად არ მოითხოვს, რომ პირი უნდა იყოს სრულ იზოლაციაში და სრულად ჰქონდეს შეზღუდული კავშირი ახლო ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებასთან იმთავითვე შეუთავსებელი არ არის მსჯავრდებული პირის შესაძლებლობა, რომ გარკვეული დროით ინტიმურ გარემოში ჰქონდეს კონტაქტი ოჯახის წევრებთან. ამავდროულად, როგორც მოწმეთა ჩვენებები და არსებული საკანონმდებლო სისტემის ანალიზი ცხადყოფს, ამგვარი კავშირის უზრუნველყოფა სახელმწიფოსაგან არ მოითხოვს არაგონივრულ, გადაულახავ ძალისხმევას და მისი ადმინისტრირება არსებული რესურსების პირობებში შესაძლებელია. „მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისის №132 ბრძანების მე-9 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელი გახდა, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ვერ ხდება ხანგრძლივი პაემნის უფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო) მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა იმ დაწესებულებაში, სადაც არსებობს ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, უკვე არსებობს პენიტენციური დაწესებულებები (მაგალითად, ქ. რუსთავის №16 დაწესებულება), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და მაქსიმალურად ორიენტირებულია რესოციალიზაციის მიზანზე. შესაბამისად, როგორც მოქმედი საკანონმდებლო სისტემა, ასევე სახელმწიფოს ხელთ არსებული ადმინისტრაციული და მატერიალური ბაზა საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა და ეს, სახელმწიფოს მხრიდან, არ მოითხოვს არაგონივრული ძალისხმევის გაწევას.

25. სადავო ნორმისა და შესაბამისი რეგულირების ანალიზით დგინდება, რომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ აქვთ უფლება, ისარგებლონ ხანგრძლივი პაემნით. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში სწორედ ხანგრძლივი პაემანი უზრუნველყოფს მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის პრივატულობის მაღალ ხარისხს, როდესაც მათ შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი ურთიერთობები განავითარონ ინტიმურ

გარემოში, ადმინისტრაციის მეთვალყურეობისგან დამოუკიდებლად და შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვიდრე ეს შესაძლებელია ხანმოკლე პაემნის ან სატელეფონო საუბრების მეშვეობით. ამრიგად, სადავო ნორმის საფუძველზე, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლების მეთვალყურეობის გარეშე 2 საათზე მეტი ხნით იქონიონ კონტაქტი ოჯახის წევრებთან. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ უფლების შეზღუდვის ფაქტს არ უარყოფს თავად მოპასუხე მხარე და მიუთითებს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების არსებობასა და შეზღუდვის გამართლებაზე.

6. უფლების შეზღუდვის გამართლება, შეფასების ტესტი

26. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია „მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“. ამრიგად, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონის საფუძველზე, დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.1. უფლების კანონით შეზღუდვის მოთხოვნა

27. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი *expressis verbis* მიუთითებს, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება დასაშვებია, შეიზღუდოს „მხოლოდ კანონით“. განსახილველ შემთხვევაში სადავოდაა გამხდარი საქართველოს პატიმრობის კოდექსის ნორმა. პატიმრობის კოდექსი საქართველოს კანონია და მიეკუთვნება საკანონმდებლო აქტებს. შესაბამისად, სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას პირადი და ოჯახური ცხოვრების კანონით შეზღუდვის თაობაზე.

6.2. თანაზომიერების პრინციპი

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპის თანახმად, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი

საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

29. ამავდროულად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ განსხვავებულია არა მხოლოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცული სფერო, არამედ - უფლების შეზღუდვის საფუძვლები და სტანდარტებიც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დაწესებულების რეჟიმიდან, იქ არსებული რეგულაციებიდან, აგრეთვე დაწესებულების სპეციფიკის შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოთავსებულ პირს ვერ ექნება პირადი ცხოვრების დაცულობის ისეთივე მოლოდინი, როგორც ეს თავისუფლებაში მყოფ პირს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში განსხვავებული, ნაკლებად მკაცრია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-102). შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებად მკაცრი სტანდარტით შეაფასებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის კონსტიტუციურობას.

6.2.1. ლეგიტიმური მიზანი

30. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი სახელდებით ჩამოთვლის იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის დასაშვებია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა. ესენია - სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან სხვათა უფლებების დაცვა.

31. მოპასუხე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის ლეგიტიმური მიზნებია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა. დასახელებული ლეგიტიმური მიზნები შეესატყვისება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ მიზნებს, ვინაიდან უკავშირდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე სხვათა უფლებების, მათ შორის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია, მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად შეიზღუდოს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.

6.2.2. გამოსადეგობა

32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა გამართლებულია. შეზღუდვის თანაზომიერებისათვის ასევე აუცილებელია, დაკმაყოფილებული იყოს გამოსადეგობის მოთხოვნაც. თავის მხრივ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48).

33. განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმით გარკვეული კატეგორიის - განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის გათვალისწინებულია ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის აკრძალვა. როგორც აღინიშნა, პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მიხედვით, ხანგრძლივი პაემნის ფარგლებში მსჯავრდებულს უფლება აქვს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში იცხოვროს კანონით განსაზღვრულ ახლო ნათესავთან (შვილი, ნაშვილები, გერი, შვილიშვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), ბებია, პაპა, და და ძმა).

34. ხანგრძლივი პაემნის მიმდინარეობისას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს საკმაოდ ხანგრძლივი (23 საათამდე) ვადით აქვს კონტაქტი კანონით განსაზღვრულ ახლო ნათესავებთან. ამავე დროს, ეს კონტაქტი ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლების დასწრებისა და მეთვალყურეობის გარეშე. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ხანგრძლივი პაემნის მიმდინარეობისას საფრთხე შეექმნას გარკვეულ კერძო და საჯარო ინტერესებს. შესაძლებელია, ხანგრძლივი პაემნის გამოყენებით, შეიქმნას დაწესებულებაში აკრძალული ნივთების მოხვედრის საფრთხე, ასევე შესაძლებელია, ხანგრძლივი პაემანი გამოყენებულ იქნეს მსჯავრდებულებსა და მესამე პირებს შორის უკანონო კომუნიკაციის საშუალებად და ა.შ. ამავდროულად, არსებობს მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე.

35. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნებისმიერი ხარისხის კონტროლისა და მეთვალყურეობის შემთხვევაში შეუძლებელია იმის სრულად გამორიცხვა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არ მოხვდება აკრძალული ნივთები. პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების სისტემა, მის ხელთ არსებული მექანიზმების გამოყენებით, ემსახურება დაწესებულებაში აკრძალული ნივთების მოხვედრის თავიდან აცილებას. თუმცა, პრაქტიკულად, ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენს უსაფრთხოების სისტემის ისეთი ოპერირება, რომ სრულად გამოირიცხოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთების მოხვედრის რისკი. ასეთი ნივთების გარედან მოხვედრასთან ერთად, სრულად ვერ გამოირიცხება და შესაძლებელია მათი დაწესებულებაში დამზადებაც. პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული ნივთებისა და ნივთიერებების დამზადება პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების სერიოზულ

გამოწვევას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-48).

36. ამრიგად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უსაფრთხოების სისტემის არსებობის მიუხედავად, ვერ გამოირიცხება დაწესებულებაში აკრძალული ნივთების ან სხვა საგნების ბრუნვა. ხანგრძლივი პაემანი კი მისი თავისებურებების გათვალისწინებით, ზრდის ამგვარი ნივთების დაწესებულებაში მოხვედრისა და ბრუნვის საფრთხეს. ამასთანავე, იზრდება დაწესებულების უსაფრთხოების, უშუალოდ მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკები და იმის შესაძლებლობა, რომ მსჯავრდებულმა ხანგრძლივი პაემნის გამოყენებით, დაამყაროს კომუნიკაცია ამა თუ იმ დანაშაულებრივ ჯგუფთან.

37. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებს სრულად უზღუდავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ამცირებს ზემოთ დასახელებულ საფრთხეებს და ამ თვალსაზრისით, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

38. მოსარჩელის წარმომადგენელმა საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე ეჭვქვეშ დააყენა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის გამოსადეგობა. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა მოწმეთა ჩვენებების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებული რისკები უმეტესად უკავშირდება საფრთხის შემცველი ინფორმაციის გაცვლას პაემნის მონაწილეთა შორის, რადგან ფიზიკური ხასიათის საფრთხეები და კანონით აკრძალული ობიექტების მოხვედრა დაწესებულებაში გამოირიცხება ვიზიტორთა და მსჯავრდებულთა პირადი შემოწმებით როგორც ხანგრძლივი პაემნის დაწყებისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. თუმცა მოსარჩელის წარმომადგენლისათვის, სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვის გამოსადეგობა, ამ კუთხით, ეჭვქვეშ დგება, რამდენადაც გარესამყაროსთან კონტაქტის სხვა ღონისძიებები, როგორიცაა ხანმოკლე პაემანი, სატელეფონო საუბარი თუ მიმოწერა, თანაბრად იძლევა საშუალებას, მოხდეს საფრთხის შემცველი ინფორმაციის მიწოდება, რადგან კონტაქტის ამგვარი ფორმებზე ძირითადად ხორციელდება მხოლოდ ვიზუალური კონტროლი.

39. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის სადავო ნორმით დადგენილი უფლების შემზღუდველი ღონისძიების გამოსადეგობის შემოწმება გულისხმობს იმის დადგენას, უშუალოდ აღნიშნული ღონისძიება რამდენად იძლევა საშუალებას, ამგვარი მიზანი იქნეს მიღწეული, რამდენად უახლოვდება სახელმწიფო მის საბოლოო მიზანს დასახელებული საშუალების გამოყენებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ ნორმა, მართალია, ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, მაგრამ არ არის მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება. არასწორია იმის მტკიცება, რომ კანონი იმიტომ შეიძლება იყოს არაკონსტიტუციური, რომ იგი

მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება არ არის (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40).

40. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების გამოსადეგობას ვერ გამორიცხავს ის გარემოება, რომ ხანმოკლე პაემნის ფარგლებში შესაძლებელია, დაზიანდეს მნიშვნელოვანი ინტერესები. თავისთავად, ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორიისათვის ხანგრძლივი პაემნის უფლების შეზღუდვა იძლევა კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანების საფრთხეების შემცირების შესაძლებლობას, ცხადყოფს, რომ ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა გამოსადეგია.

6.2.3. აუცილებლობა

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი.

42. მოსარჩელის მოსაზრებით, შეზღუდვა არ არის მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება, რადგან ავტომატურად ეყრდნობა მსჯავრდებულის მოთავსებას კონკრეტული ტიპის დაწესებულებაში და არ ითვალისწინებს საშიშროების რისკების ინდივიდუალურად შეფასებას, როგორც ეს ხდება ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შეზღუდვის სადავო ნორმით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში (დისციპლინური სახდელის დაკისრება ან/და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება). ამასთან, მოსარჩელე მხარემ მიუთითა ვიზიტორისა და მსჯავრდებულის შემოწმების პროცედურების გამკაცრებაზე, როგორც უფლების შეზღუდვის ნაკლებად მკაცრ საშუალებაზე.

43. როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის სპეციალური ტიპის პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება აქ მოთავსებული პირებისგან მომდინარე საშიშროების რისკებს. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 66^2 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთ, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი

ორგანოების უსაფრთხოებას. თავის მხრივ, აღნიშნული საშიშროების რისკების შეფასება ხდება თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებით, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით. სწორედ აღნიშნული რისკების შეფასების შემდეგ ხდება პირთა მოთავსება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, დამატებით იქნეს გაანალიზებული, თუ როგორია თავად აღნიშნული შეფასების სისტემა, შეფასებაზე უფლებამოსილი სუბიექტი, შეფასების კრიტერიუმები თუ ამგვარი შეფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ამგვარი შეფასების შედეგები მოქმედებს თუ არა მსჯავრდებულის მიმართ თავისუფლების აღკვეთის მთელი პერიოდის განმავლობაში.

44. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მოთავსების საკითხებს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, პატიმრობის კოდექსი, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმის მოქმედების პერიოდში (მის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე) აღნიშნულ საკითხს ასევე არეგულირებდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“. პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაწესებულების ტიპის შერჩევისას, უპირველესად, ყურადღება ექცევა, რამდენად მდებარეობს ამგვარი დაწესებულება მსჯავრდებულის საცხოვრებელთან ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელთან ახლოს, რითაც ნათელია, სახელმწიფო ხელს უწყობს მსჯავრდებულთათვის პირადი და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებას. თუმცა აღნიშნული ზოგადი წესიდან პატიმრობის კოდექსის იგივე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, რომელთა შორის ერთ-ერთია თავად მსჯავრდებულის პიროვნებიდან მომდინარე რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებას.

45. მსჯავრდებულის პიროვნებიდან მომდინარე უსაფრთხოების რისკების შეფასებას ახორციელებს რისკების შეფასების გუნდი (იგივე „მულტიდისციპლინური გუნდი“), რომლის საქმიანობის წესს, ასევე შეფასების კრიტერიუმებს სადავო ნორმის მოქმედების პერიოდში დეტალურად განსაზღვრავდა სწორედ ზემოაღნიშნული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების №1 დანართის მე-8 მუხლის თანახმად, რისკების შეფასების გუნდი არის კოლეგიურ ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც თავად პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და სპეციალური აღრიცხვის სამსახურის წარმომადგენლები, აგრეთვე დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წარმომადგენელი და ფსიქოლოგი. ამასთან, გუნდი უფლებამოსილია საკითხის განხილვისას სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს ექიმი, სპეციალური ცოდნის მქონე სხვა პირი ან პირი, რომელსაც შეუძლია გუნდს მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე. გუნდი ინდივიდუალურად სწავლობს თითოეული მსჯავრდებულის შესახებ არსებულ ინფორმაციას და მითითებული ბრძანებით, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებზე

დაყრდნობით, განსაზღვრავს თითოეული მსჯავრდებულისგან მომდინარე საფრთხეს. კრიტერიუმების ჩამონათვალი (ბრძანების №1 დანართის მე-4 მუხლი) საკმაოდ ვრცელია და მათ შორის მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა პიროვნული თვისებები, დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება, თვითდაზიანების ფაქტები, ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება და სხვ. გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანებით, დეტალურად არის გაწერილი, თუ რა ინფორმაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით მსჯავრდებულის მახასიათებლების/გამოვლენილი ქცევის შეფასება (ბრძანების დანართი №2 და დანართი №3). შედეგად, ნათელია, რომ მსჯავრდებული პირის მხრიდან მომდინარე საშიშროების ხარისხის შეფასებისათვის დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო ამგვარ შეფასებაზე უფლებამოსილ ორგანოს საშუალებას აძლევს, შექმნას შემლებისდაგვარად სრული სურათი, განახორციელოს ყოველმხრივი გამოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში მოთავსების/გადაყვანის თაობაზე. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების №1 დანართის მე-5 მუხლი განსაზღვრავდა საშიშროების რისკის 4 სახეს (დაბალი, საშუალო, მომეტებული, მაღალი) და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავსდებიან მხოლოდ ის მსჯავრდებულები, რომელთა საშიშროების რისკი ყველაზე მაღალია.

46. რაც შეეხება მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასების დროში მოქმედების საკითხს, ამგვარი რისკების გადაფასება ზემოაღნიშნული ბრძანების №1 დანართის მე-16 მუხლის თანახმად, საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულებთან მიმართებით ხდება პირველი/წინა შეფასებიდან არაუგვიანეს 12 თვისა, თუმცა შესაძლებელია რისკის ზემოაღნიშნული ვადის დაუცველად გადაფასებაც განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა პირის ქცევა, დამოკიდებულება ან სხვა გარემო პირობები ან/და მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია. ამასთან, დასახელებული ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული არ ეთანხმება შეფასების შედეგებს, რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მინისტრთან ან კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ, მართალია, უშუალოდ სადავო ნორმა მიემართება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ ყველა მსჯავრდებულს და თითოეული მათგანის მიმართ ზღუდავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობას, თუმცა თავად ამგვარი ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მოთავსების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს საშიშროების რისკების იმგვარ ინდივიდუალიზაციას, როგორზეც მიუთითებს მოსარჩელე მხარე. კერძოდ, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსდებიან მსჯავრდებულები მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების შედეგად. შეფასებას ახორციელებს შესაბამისი კოლეგიური ორგანო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად,

ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მსჯავრდებულიდან მომდინარე რისკებს.

48. ამავდროულად, თავდაპირველი შეფასების შედეგების პერიოდული გადაფასება და ამგვარი შედეგების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა დამატებით უზრუნველყოფს, რომ, ერთი მხრივ, მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება სწორად და ობიექტურად შეფასდეს და, მეორე მხრივ, თავად მსჯავრდებულს ანიჭებს შესაძლებლობას, მოახდინოს საკუთარი ქცევის კორექტირება და, შედეგად, გადაინაცვლოს იმგვარ პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს სასჯელის მოხდის შეღავათიანი, გაუმჯობესებული პირობებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის, ხანგრძლივი პაემნის აკრძალვის გზით, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა ხდება მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების შედეგად. ამგვარად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიუთითებს სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის არათანაზომიერების შესახებ.

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე არ იზიარებს მოსარჩელე მხარის არგუმენტს, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისას ვიზიტორისა და მსჯავრდებულის შემოწმების არსებული ზომების გამკაცრების, როგორც უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზღუდავი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, იქ მოთავსებული და დასაქმებული პირების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, უწესრიგობის, ბრალდებული/მსჯავრდებული პირების გაქცევისა და სხვა სამართალდარღვევების თავიდან აცილება საკმაოდ რთულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა დაწესებულებაში უკანონო ნივთების, წარწერებისა და სხვა ობიექტების შეტანის, დამზადების, ბრუნვის აღკვეთა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-77). როგორც აღინიშნა, პენიტენციური დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების უსაფრთხოების ზომები აბსოლუტური სიზუსტით ვერ უზრუნველყოფს, სრულად გამოირიცხოს დაწესებულებებში აკრძალული ნივთების მოხვედრისა და ბრუნვის საფრთხე. შესაბამისად, მხოლოდ შემოწმების გზით ვერ ხერხდება სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების ლეგიტიმური მიზნების იმავე ეფექტიანობით დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე მიუთითა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების სტანდარტები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, განსხვავებული, ნაკლებად მკაცრია. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სპეციფიკის, არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, არ შეიძლება, სახელმწიფოს წაერთვას იმის შესაძლებლობა, რომ საფრთხეების შემცირების მიზნით, ცალკეული, განსაკუთრებით საშიში მსჯავრდებულების მიმართ შეზღუდოს გარეშე პირებთან, მათ შორის, ახლო

ნათესავებთან პირდაპირი კონტაქტი და დაეყრდნოს მხოლოდ შემოწმების ღონისძიებებს. ამგვარი მიდგომა ეჭვქვეშ დააყენებდა და რამდენადმე გაართულებდა პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

51. ამავდროულად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა არ უკავშირდება მხოლოდ დაწესებულებაში უკანონო ნივთებისა თუ ნივთიერებების მოხვედრის გზით წარმოშობილ საფრთხეებს. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის უსაფრთხოების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევაა პაემნის მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, მსჯავრდებულთა მიერ საკუთარი ვიზიტორების მეშვეობით როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ სხვა პირებზე ზეგავლენის მოხდენა ან იმგვარი არაპირდაპირი კონტროლი, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც პენიტენციური დაწესებულების, ასევე მთლიანად საზოგადოების უსაფრთხოებას, რამდენადაც აქ მოთავსებული მსჯავრდებულები უმეტეს შემთხვევაში ხასიათდებიან კრიმინალურ სამყაროსთან ახლო კავშირებით. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ განხილული საშუალება ვერ ჩაითვლება სადავო ნორმით დადგენილი ღონისძიების ალტერნატივად, რომელიც მოსარჩელის პირადი და ოჯახური ცხოვრების ძირითად უფლებაში ნაკლები სიმძიმით ჩარევის გზით ეფექტიანად უზრუნველყოფდა სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა უნდა ჩაითვალოს დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ, ყველაზე ნაკლებადმზღუდავ საშუალებად.

6.2.4. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

53. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თანაზომიერების პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ დაცული იყოს პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*). თანაზომიერების პრინციპის აღნიშნული ელემენტის მოთხოვნაა, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). კერძოდ, სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი საკუთარი მნიშვნელობით უნდა აღემატებოდეს სადავო ნორმით შეზღუდულ ინტერესს.

54. განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, მსჯავრდებულის კერძო ინტერესი - შეძლოს საკუთარი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზაცია და კონტაქტი ჰქონდეს საკუთარ ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესი - დაცულ იქნეს პენიტენციური

დაწესებულების, იქ მოთავსებული პირების უსაფრთხოება და თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული.

55. როგორც აღინიშნა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ნაკლები მოლოდინი, ვინაიდან იმყოფება ამგვარ დაწესებულებაში, თავისუფლება აქვს აღკვეთილი და იზოლირებულია საზოგადოებისაგან, მათ შორის, ოჯახის წევრებისაგან. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირების უფლებას, რომ იქონიონ კავშირი საკუთარი ოჯახის წევრებთან, რათა შეინარჩუნონ შანსი, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია. შესაბამისად, მსჯავრდებულის იზოლირება, მისთვის ოჯახის წევრებთან უშუალო და ინტიმური კონტაქტის შესაძლებლობის შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს აქვს მნიშვნელოვანი, წონადი საჯარო მიზნები.

56. განსახილველ საქმეზე სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიებით მსჯავრდებულის კონტაქტი ოჯახის წევრებთან იზღუდება იმის გამო, რომ არსებობს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების, იქ მოთავსებული პირებისა და, ზოგადად, საზოგადოების ინტერესების დაცვის საჭიროება. კერძოდ, მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების დაწესებულების წარმომადგენლების მეთვალყურეობის გარეშე პირდაპირი და უშუალო კონტაქტი შესაძლოა, გახდეს საფრთხის შემცველი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის. ასეთი კონტაქტისას შესაძლოა, გაიზარდოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთების მოხვედრისა და ბრუნვის საფრთხე. ასევე, მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების კონტაქტის მეშვეობით შესაძლოა, დამყარდეს (ან გაადვილდეს) კომუნიკაცია კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის. შესაბამისად, სახელმწიფო მსჯავრდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას ზღუდავს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

57. ამავდროულად, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებას წინ უსწრებს თითოეული მსჯავრდებულის მხრიდან მომდინარე საშიშროების რისკების ინდივიდუალური შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ინდივიდუალური შეფასების შედეგების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დასახული ლეგიტიმური მიზნებისათვის საშიშროების მომეტებული რისკის მატარებელია ყველა იქ მოთავსებული მსჯავრდებული. გარდა ამისა, საშიშროების რისკების ინდივიდუალური შეფასება და მსჯავრდებულის ყოფნა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ გრძელდება ამ უკანასკნელის მიერ სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, არამედ ექვემდებარება პერიოდულ გადამოწმებას და აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაიხედოს სასამართლო წესით. შესაბამისად, კანონმდებელმა სადავო ნორმით გათვალისწინებული შემზღუდველი ღონისძიება გამოიყენა იმ პირებთან მიმართებით, რომელთა მიმართებითაც განსაკუთრებით მაღალია სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და სხვა პირების უსაფრთხოებისათვის რისკის შექმნის ალბათობა. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო მიუთითებს იმ საფრთხეების

სიმწვავეზე, რომელთა თავიდან აცილებასაც ემსახურება სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება.

58. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების ლეგიტიმური მიზნების დაცვის საჭიროება გადაწონის მსჯავრდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ინტერესს. შესაბამისად, სადავო ნორმით სამართლიანად არის დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და ნორმა შეესაბამება თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

59. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის სადავოდ გამხდარი სიტყვები (2014 წლის 2 მაისიდან 2017 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია): „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს“ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-11 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, 1^1-1^5, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, 8^1, 8^2, მე-11, 12^1, მე-13, მე-15 და მე-16 პუნქტების და 45-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
ადგენს:

1. არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი №704 („გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).
2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.

5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

თეიმურაზ ტუღუში

ირინე იმერლიშვილი

მანანა კობახიძე

თამაზ ცაბუტაშვილი

ასლი დედათან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

მანანა კობახიძე

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა